საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი ბაზმული ბაძილების შესახებ ყოველ ორშაბათ დღეს

№ 38 სექტემბერი 13 1898 წ. № 38

შინაარსი: მილიტარიზმი ნ. ყორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„ჯვალის“ კორესპონდენციები.—ჯვირიდან ჯვირამდე.—ახირებული საქმე წ—სა.—საზღვარ-გარეთ.—*** ლექსი ვ. გოგოლაძისა —ქვემო-მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების საგანგებო კრება ო.—ისა.—წერილი კონსტანტინოპოლიდან ისევ რაჭველისა და კერძო განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

მილიტარიზმი

2—ევროპაში.

პირველ წერილში ჩვენ დავინახეთ, რომ რუსეთის მილიტარულ განვითარებამ წინ გაუსწრო ეკონომიურ განვითარებას. რუსეთი იძულებული შეიქნა რაც შეიძლება ჩქარა შეეთვისებია დასავლეთ ევროპის სამხედრო წყობილება, რომ მით თავისი ინტერესები დაეცვა, ხოლო ნივთიერი მდგომარეობა ისევ ძველი დარჩა. მარა ცხოვრების ერთი მხარის გაევროპიელება აუცილებლათ მოითხოვს დანარჩენი მხარეების გაევროპიელებასაც. და აი, დღეს რუსეთი მთელი თავისი ძალ-ღონით ამ ახალ გზაზე მიექანება.

სულ სხვაა ევროპაში. აქ მილიტარიზმი ღვიძლი შვილია კაპიტალიზმის, ის თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობამ წარმოშობა და განავითარა. მილიტარული სისტემა ისე ჩაწნულ-ჩახლართულია კაპიტალისტურ სისტემაში, რომ ძნელი გამოსაცნობია სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. ეს ორი მოვლენა მხოლოთ ორი პირია ერთი და იგივე პროცესის, ერთი და იგივე მოძრაობის. მრეწველობამ და ვაჭრობამ წინ წამოაყენა ჯარების საჭიროება და მით ხალხი შეაბა სამხედრო უღელში. თავის მხრით, მხედრობამაც ხელი შეუწყო კაპიტალის მოგროვებას, ნივთიერ აღორძინებას. ამით მან ერთი უდიდესი სოციალური როლი ითამაშა. ერთი სიტყვით ორივე ხელი-ხელ ჩაკიდებული მოდიან საისტორიო გზაზე, ესენი ერთი მეორეს ამაგრებენ, ერთი მეორეს ასულდგმულებენ. რა გზაა ეს გზა? საიდან მოდის ის და საით მიდის? აი, ამის ნათლათ გამოსარკვევათ, გადავიხედოთ უკან, წარსულისაკენ, გავიტაროთ თვალ წინ მთელი ეს გზა, მთელი ეს მოძრაობა და მით შეიძლება აწმყოშიაც არ დავიბნეთ და მომავლის ცალი კარიც შევაღოთ.

მილიტარიზმი შედგება ორი ელემენტისაგან: საომარი იარაღები და ჯარისაგან. მისი აუცილებელი პირობაა იარაღების კეთება და იარაღების ხმარება. ეს ორი საქმე დაშორებულია ერთმანეთისაგან. სალდათი იარაღის მკეთებელი არ არის და იარაღის მკეთებელი სალდათი არ არის. მათ საერთო ერთი რამ აქვსთ, ორივე ომის მასალაა; ამათი საშუალებით, იმართება ბრძოლა, იღვრება სისხლი, იცვლება ხალხის შინაგანი და გარეგანი მდგომარეობა. რა არის ომის მიზეზი? ვოლტერი ამბობს: „1498 წლამდის მეფენი იბრძოდენ ახალი ქვეყნების შესაძენათ, ხოლო შემ-

ვ. მარქსის ს.ბ. საჯ. ბიბ.
სახელმწიფო ბიბლიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ კი საეჭრო დაწესებულებების ასაგებათო“. მარა ორივე შემთხვევაში ომის მიზანი პოლიტიკური და ეკონომიური სარგებლობა იყო და არის დღესაც. ეს ლტოლვილება უცვლელათ რჩება, როგორც ძველ ისე ახალ ხანაში. სამაგიეროთ ომის მასალა, იარაღების მზადება და ჯარის შედგენილობა, იცვლება და ვითარდება იმდენათ, რამდენათაც იცვლება ცხოვრება, ვითარდება ახალი ურთიერთობა. საშუალო საუკუნის დასასრული და ახალის დასაწყისი არის იმავე დროს ერთი წყობილების დასასრული და მეორის დასაწყისი. ფეოდალურ უფროსობას შეეტაკა მოქალაქეთა უფროსობა და გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ომი ხდებოდა შვილდ-ისარით და სხვა სახელ-დახელო იარაღებით. აქ ადამიანის ფიზიკურ ძალ-ღონეს, მის სიმამაცეს და სიცქვიტეს პირველი ალაგი უჭირავს. რადგანაც ასეთი თვისებებით, ყველაზე უფრო, სოფლის ბატონები იყვენ აღჭურვილი, ბრძოლაშიც ისინი იმარჯვებდენ. მაშასადამე ეს იარაღები ფეოდალთა ბატონობის საუკეთესო მფარველი და გამომხატველია. და ვინ იცის, რაოდენ საუკუნეს კიდევ ისინი იპარპაშებდენ, რომ ბრძოლის იარაღი არ შეცვლილიყო. მეთოთხმეტე საუკუნეში შემოიღეს თოფი და წამალი. ტყვიის წინაშე ადამიანს პირადი ძალ-ღონე შედრკა. თოფის გასროლა მძლავრსაც შეუძლია და სუსტსაც, სოფლელსაც და მოქალაქესაც. ერთი დაკვრით, ქალაქი გაუთანასწორდა სოფელს. და არა თუ გაუთანასწორდა, კიდევაც წინ გასწრო. თოფის და წამლის კეთება რთული ხელობაა, ეს მოითხოვს ნასწავლ ხელოსნებს. ამან გამოიწვია სახელოსნოები და ფაბრიკები. 1446 წ. ვენაში დაარსდა თოფის წამლის პირველი ფაბრიკა. ქალაქებში აღორძინდა წარმოების მთელი დარგი. და, რასაკვირველია, ეს დარგი პირველ ყოველისა ქალაქების დასაფარავ საშუალებათ უნდა გადაქცეულიყო. გერმანიაში ომის ველზე პირველათ ქ. აუგსბურგმა გამოიტანა 30 თოფი (1381 წ.). საომარი იარაღების წარმოება ბურჟუაზიამ დაისაკუთრა და მით ძირი გამოუთხარა ფეოდალიზმს. ეს კიდევ ცოტაა, ჩქარა ფეოდალმაც დაჰყარა შვილდ ისარი და შეუდგა თოფ-ზარბაზნით აღჭურვას. მარა ეს ყველა ფული ღირს. სად არის ფული? ფული ქალაქშია. საჭირო შეიქნა ფეოდალის ქალაქში ჩამობრძანება. ის თან-და-თან იგებს ფულის გემოს და ხდება ქალაქისაგან დამოკიდებული. მეორე მხრით, მეფემ ეჭარს მიმართა ფულისათვის და მით ეჭარმაც გაევლენა და პატივი მოიპოვა სამეფოში. შეძლებული ქალაქი, როგორც მაგ. ლონდონი, მეფეს ფულს ისე არ ასესხებდა, რომ რაიმე ახალი უფლება არ მიეღო. ქალაქების თვითმართველობა, საკუთარი პოლიცია, მსაჯულნი და სხ. სულ მეფის მიერ ნასესხები ფულის პროცენტია. ომის წინ მეფე მოუწოდებდა ეჭართა წარმომადგენელთ და მათთან თათბირობდა ახალ გადასახადების აკრეფაზე. აი, ასეთი კრებებისაგან განვითარდა ინგლისის პარლამენტი. ამნაირათ, ახალი ჩასახული მილიტარიზმი ვითარდება კაპიტალიზმის საფარველ ქვეშ. მეორე მხრით, ეჭრობის გასაძლიერებლათ საჭიროა ახალ-ახალი ბაზრები, დამუშავებული საქონლის გასაღება ⁄ დასამუშავებელის შემოტანა. ამიტომაც ისპანია, პორტუგალია, ჰოლანდია და ბოლოს ინგლისიც მოედვენ ქვეყანას და დაიპყრეს ქვეყნები; ამერიკა, აზია, აფრიკა და კუნძულები მათ ახალშენათ გადაიქცა. დაიწყო კოლონიალური პოლიტიკა და კოლონიალური ომები. მილიტარიზმმა განავითარა კაპიტალიზმი.

მილიტარიზმის მეორე ელემენტია, როგორც ვთქვით, ჯარის შედგენილობა. და აი, იარაღებთან ერთათ ესეც გადასხვაფერდა. წინეთ ჯარს შეადგენდენ ყველა, ვისაც კი ბრძოლა შეეძლო. ფეოდალი ან მეფე ომის წინ უბრძანებდა თავის ხელ-ქვეეითთ ლაშქარში წამოდითო. ბრძოლა გათავდებოდა თუ არა, მებრძოლნიც თავ-თავის ოჯახში ბრუნდებოდენ. მარა, როცა ფულის საბრძანებელი გაფართოვდა და მოთხოვნილებამაც იმატა, აღორძინდა მთელი რიგი ადამიანებისა, რომელნიც ქირისთვის მოსამსახურეთ მიდიოდენ. ასეთი ხალხი, რასაკვირველია, თავის თავის ბატონი უნდა ყოფილიყო, რომ თავისი შრომა გაეყიდა. ასეთ პირთ ერთათ ერთი თავისუფალი შვეიცარია იძლეოდა. და მართლაც ყველგან შვეიცარიელნი შეადგენდენ სასახლის ჯარს და მოსამსახურეებს (აქედან შვეიცარი ანუ შვეიცარიელი). პირველათ ამით მეფემ ისარგებლა. მან იქირავა შვეიცარიელნი და შეადგინა მუდმივი ჯარი. აქედან წარმოდგა პირველი სოლდათები (სიტყვა „სოლდ — solde ნიშნავს დაჯილდოებას, ქირას). ამ უცხოელთ თან-და-თან მიემატენ შინაურნიც. ბურჟუაზიის ცარცვა-გლეჯამ ხალხი დასცა, გაღარიბდა აგრეთვე მოწინავე წოდება. ესენი მოხარული იყვენ თუ კი ჯარში იშოვიდენ ადგილს, მუქთი ჭამა სმა და ჯამაგირიც იმათთვის სანატრი ულუფა იყო. დე-ფოე, ავტორი „რობინზონ კრუზოსი“, გასულ-საუკუნის დასაწყისში წერდა: „ეს სიღარიბეა რაც კაცს სალდათათ ქმნის, ამიტომ არის, რომ ინგლისელის ჯარში შეეყვანა ძნელი საქმეა, ვინაიდან მას ცხოვრება არ უჭირს“. ამ გარემოებამ გაამრავლა სალდათობის მოსურნეთა რიცხვი და დასწია მათი ქირა. სალდათობა ფულის წყაროთ გახდა, ის ხელობათ გადაიქცა, როგორც მეწაღეობა გინდ დურგლობა. ჯარის შემაკავშირებელი ფული შეიქმნა. მარა იმავე

ეკონომიურ პროცესმა დაარღვია ერის თვითოეული ნაწილის კარ-ჩაკეტილობა და გამოიყვანა სამოქალაქო ასპარეზზე. მოხდა ერის გაერთიანება, შემუშავდა „ერთი, განუყოფელი სამშობლო“. ასეთ პირობებში იფეთქა საფრანგეთის რევოლიუციამ, რევოლიუციის გამარჯვებას მოჰყვა ევროპის გალაშქრება საფრანგეთის წინააღმდეგ. და აი, ახლა, საფრანგეთის კიდით-კიდემდე გაისმა: la patrie en danger—სამშობლო განსაცდელშია! მოხდა ხალხის პირველი შეიარაღება. შედგა ძლევა-მოსილი ჯარი. კაცი სალდათად წავიდა არა ჯამაგირისთვის, არამედ სამშობლოს დასაცველად. აი, ეს მილიტარული წყობილების ძირითადი ცვლილებაა. ჯარის შემაკავშირებელ ელემენტად „სამშობლო“ გადაიქცა. წარმოიშვა ნაციონალური ჯარი, ნაციონალური მხედრობა თუ კი საფრანგეთმა მხედრობას ნაციონალური გრძნობები შთაუნერგა, სამაგიეროთ, რამდენსამე წელს შემდეგ, პრუსიამ თვით ნაციას შთაუნერგა სამხედრო გრძნობები. პრუსიის მთავრობამ თვითოეულ სრულ წლოვან მამაკაცს საველდებულოთ გაუხადა ომში გასვლა. ეს იყო პირველი საყოველთაო სალდათობა. საფრანგეთში მხედრობა განაციონალისტდა, პრუსიაში კი ნაცია გამხედრდა, გასალდათდა. აი, ამ საძირკველზე აშენდა ევროპის დღევანდელი მილიტარული წყობილება. თვითოეული მოქალაქე ვალდებულია ჯარში შევიდეს, სამშობლოს ემსახუროს. ყაზარმის გარეშე ალარაფერ რჩება. მილიტარიზმი განმტკიცდა მთელი თავისი სიგძე-სიგანით. ის ერთიანათ ჩაეწნა თანამედროვე ცხოვრებას და გახდა ერთ აუცილებელ მოთხოვნილებათ. რა მდგომარეობაშია დღეს მილიტარიზმი? რა დამოკიდებულება აქვს მას კაპიტალიზმთან?

როგორც დავინახეთ, ბურჟუაზიულ წარმატებამ წინ წამოაყენა მილიტარული წარმატებაც. თვითოეული ერის ბურჟუაზია მილტეის, რაც შეიძლება ფართო ბაზარი, მეტი მიწა-ადგილი და გაელენა მოიპოვოს. ცხადია, თანამედროვე განხეთქილება ერთა შორის, არის განხეთქილება მათ ბურჟუაზიას შორის. და რომ ერთი მეორისაგან დაჯაბნებული და განადგურებული არ შეიქნენ საჭიროა ჯარები.

მაშასადამე მილიტარიზმი ამაგრებს კაპიტალიზმს.

მარა, დღეს მთელი ქვეყნის აღებ-მიცემობა ისე მჭიდროთ არის ერთი მეორეზე გადაკავშირებული, რომ ომი ერთ მხარეში ერთიანათ შეანგრევს მთელ ამ კავშირს და გამოიწვევს დაუსრულებელ კრიზისს. ამიტომ ყველა უფრთხის ომიანობას და ჯარიც მეტ ბარგათ ხდება.

მაშასადამე კაპიტალიზმი ასუსტებს მილიტარიზმს.

მრეწველობის აყვავება—ეს სიმდიდრის გამრავლებაა; რამდენათ მეტი სიმდიდრე ტრიალებს საზელმწიფოში, იმდენათ მეტი შემოსავალი აქვს ხაზინას და მით მეტის დახარჯვა შეუძლია. სახელმწიფო გაჭირვების დროს სესხულობს ფულს თავისივე ბურჟუაზიისაგან და სარგებელს აძლევს. ამიტომ შეძლებული სახელმწიფო ადვილათ იტანს სამხედრო ხარჯებს.

მაშასადამე კაპიტალიზმი აადვილებს მილიტარიზმს.

მარა, ეს ხარჯები იფარება გადასახადებისაგან. სახელმწიფოს უმთავრესი შემოსავალი—ეს საქციზო თუ სხვა ბაჟებია (არა პირ-და-პირი გადასახადი), რაც ხალხს აწვება კისრათ. გარდა ამისა, თან-და-თან უმატებენ პირ-და-პირ გადასახადსაც; აქედან ერთი ნაწილი ბურჟუაზიას ეძლევა სახელმწიფო ვალების გადასახადათ. აი, ეს დიდ ტვირთათ აწვევს ხალხს, ის თან-და-თან უკმაყოფილო ხდება და წალეკვას უქადის მთელ წყობილებას.

მაშასადამე მილიტარიზმი ხალხს რეკს უკმაყოფილოთა ბანაკში და მით ძირს უთხრის კაპიტალიზმს.

ერთი სიტყვით, რა მხრითაც უნდა შეხედო, კაპიტალიზმი და მილიტარიზმი ერთი მეორისაგან გამოდიან, ერთმანერთს ხელ-უწყობენ და ერთმანეთს ხელს უშლიან, ერთმანეთს ამაგრებენ და ერთმანეთს ძირს უთხრიან. ეს კიდევ ცოტაა, მილიტარიზმი ეწინააღმდეგება არა მარტო კაპიტალიზმს, არამედ თავის თავსაც და ჰით თავისსავე არსებაში ატარებს თავისსავე დასასრულს. ერი რაც უფრო ვითარდება ეკონომიურათ, მით უფრო მწვავდება ბრძოლა კაპიტალისტთა შორის. ულმობელი კანონი კონკურენციისა სხვილ კაპიტალისტს ანიჭებს გამარჯვებას და წვრილს დამარცხებას. ამ გზით, ღარიბთა და უკმაყოფილოთა რიცხვი თან-და-თან ძლიერდება. და ბოლოს ერის უდიდესი ნაწილი უკმაყოფილოთ ხდება. მეორე მხრით, მილიტარული სამსახური დავალებული აქვს ყველას, ღარიბია ის თუ მდიდარი, ბურჟუა თუ პროლეტარი. მარა რაკი მრავლდება პროლეტარი მოქალაქე, ამით მრავლდება პროლეტარი-სალდათი. ასე რომ ბოლოს ჯარის დიდი უმრავლესობა უკმაყოფილო მოქალაქეთაგან შედგება. თანაც სამსახურის ვადა შემცირებულია (გერმანიაში ორი წელია), მოქალაქე ორ წელში იწრთვნება იარაღის ხმარებაში, ხოლო მისი პოლიტიკური რწმენა იგივე რჩება, ის ისევ რომელსამე პარტიას ემხრობა. ამნაირათ, პროლეტარი-სალდათი-ყაზარმაში, პროლეტარი-სალდათი — ცხოვრებაში. და როცა ისინი ერთ და იმავე პოლიტიკური პროგრამით აღიჭურვიან—მილიტარიზმის (და მასთან ერთათ კაპიტალიზმის) უკანასკნელი ქამიც დაირეკება...

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

რუსეთის ერთი საეკლო ფირმა აპირებს ჩვენში ჭარხლის თესვას შაქრის გასაკეთებლათ. ჭარხალი თუ კარგი მოვიდა შაქრის ხარხანასაც დააარსებს.

—

უცხოელ კაპიტალისტებს მთავრობისთვის უთხოვიათ ნება მოგვეცით შავი ზღვის ნაპირებზე ელექტრონის რკინის გზა გავმართოთო.

—

წესდება, თფილისის საეკლო სასწავლებლისა, რომელიც არსდება თფილისის ვაჭართა საზოგადოების ხარჯით, სამინისტროს დაუმტკიცებია. სასწავლებელი შედგება 7 კლასიდან, გარდა მოსამზადებელი კლასებისა. ასწავლიან საზოგადო და სპეციალურ საგნებს. სპეციალური საგნებია: საეკლო არითმეტიკა, ბუხჰალტერია, საეკლო მიწერ-მოწერა რუსულ და უცხო ენებზე, პოლიტიკური ეკონომია, კანონმდებლობა, საქონლის ცოდნა ტექნოლოგიით, საეკლო გეოგრაფია და ლამაზი წერა. მოსწავლეთათვის საეალდებულოა ორი უცხო ენის შესწავლა: ფრანგულის და ინგლისურის ან ნემეცურის. ადგილობრივი ენები, სტენოგრაფია, გალობა, მუსიკა და ცეკვა სურვილისამებრ. მიიღებენ ყველა წოდების და სარწმუნოების ბავშვებს, უპირატესობა კი ვაჭართა შვილებს ეძლევა. კურს დამთავრებულთ ისეთივე უფლებები ეძლევათ, როგორიც რეალური სასწავლებელში კურს დამთავრებულთ აქვთ.

—

თფილისის რამდენსამე მცხოვრებს მთავრობისთვის უთხოვიათ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსების ნება-რთვა. ამ ამხანაგობის მიზანი იქნება მისცეს სესხი თავის წევრებს სამეურნეო საჭიროებისათვის და აგრეთვე მათი დაზოგვილი შეინახოს.

—

გუბერნატორის მიერ დანიშნულ კომისიამ ქართული თეატრის შენობის გასაშინჯავათ დაასრულა შენობის გაშინჯვა და განაცხადა, რომ თეატრი ცეცხლის მხრით უზრუნველი არ არის და კომისიის მიერ სამჯერ ნაჩვენები ნაკლულევანება ჯერაც არ გაუსწორებიათ, რისთვისაც წარმოდგენების გამართვა უნდა აიკრძალოსო. მოხსენება გადაეცა გუბერნატორს.

—

ამბობენ, რომ ამიერ-კავკასიის სახემწიფო ბანკთან გახსნილი იქნება საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის განყოფილებაც.

—

განზრახვა აქვთ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელი, სამეურნეო განყოფილებით, გადააკეთონ დაბალი ტიპის სამეურნეო სასწავლებლათ.

—

ბათომის საბჭოს ხმოსანთა არჩევანი დანიშნულია 18 ოქტომბრისთვის.

—

ქ. ფოთში 8 სექტემბერს მოხდა ხმოსანთა არჩევა. არჩეულ იქნენ თითქმის ყველა ისინი ვინც იყვენ. ნ. ნიკოლაძე, რასაკვირველია, ერთ ხმათ იქმნა არჩეული (შავი მხოლოთ ერთი ამოუვიდა).

—

ფინანსთა სამინისტრო პირიქის გამოფენისათვის აპზადებს ერთ დიდ შრომას, რომელშიაც წარმოდგენილი იქნება რუსეთის მრეწველობის ყველა დარგთა განვითარება და დღევანდელი მდგომარეობა იმპერიის ყველა კუთხეში.

—

ქ. ახენში (გერმანია) გარდაიცვალა პროფესორი არწრუნი. გაზ. „მშაკის“ გამომცემელი და ძმა ცნობილი მოღვაწის არწრუნისა.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ბათომი (ქარხნების მდგომარეობა). ამ ათი წლის განმავლობაში, ძრიელ წინ წავიდა ბათომის მდგომარეობა, მაგრა იკიდებს ფეხს ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, თან-და-თან გამრავლდა ქარხნები და მასთან ერთათ მუშა ხალხიც. ჩვენ ვიცით, რომ იმ ადგილებში, რომელიც წინეთ ქვა-ქვიშნარ და უსარგებლო ადგილებს წარმოადგენდა, დღეს უზარ-მაზარი დუქნები და მაღაზიები არის გაჩაღებული; სადაც წინეთ გაუვლელი ჭაობი და „ტლაპო“ იყო, დღეს ის ადგილები დაუჭირავს ნავთის უზარ-მაზარ ქარხნებს. ერთი სიტყვით, რა მხრივათაც გინდა გაშინჯოთ ახლანდელი ბათომი და შეადაროთ წინანდელს, დიდი ნახტომი წარმოგიდგებათ თვალ წინ. ჩვენ გვსურს ამ დროებით შევეხოთ ზოგიერთ ქარხნებს, მათს მორთულობა-მოწყობილობას, და მასთან მათში მომუშავე მუშების ასეთ-თუ ისეთ მდგომარეობას. ბათომში არსებობს 7—8 თუ მეტი, სხვა-და-სხვა ნავთის ქარხნები, რომლებიც, თვალსაჩინოთ განირჩევიან ერთმანეთისაგან მეხანიკური მოწყობილობით, ასე რომ ერთში თუ ყველაფერი წეს-რიგზეა მოწყობილი, ყველაფერს მაშინა და მაშინური მომართულება ამუშავებს და შრომაც წესიერათ არის განაწილებული; სამაგიეროთ მეორეში და მესამეში სრულიად უწეს-რიგობა, და მაშინური და ტექნიკური მოწყობილებაც ძველებურია, უფრო ადამიანი ცოცხალ ღონეზეა დამყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული. ამიტომ თუ პირველში, არ არის საჭირო მუშის მეტის-მეტი ძალ-ღონის ხმარება, მეორეში და მესამეში მუშაობა მეტათ ძნელია, რადგანც ყველაფერში კაცის მეტის-მეტი ძალ-ღონის ხმარებაა საჭირო. მაგალითათ: ავიღებთ ორს ერთი მეორის მოწინააღმდეგე და განსხვავებულ ზავოდს რიხნერისა და როტჩილდისას. რიხნერის ზავოდი წარმოადგენს ერთ პატარა უკან ჩამორჩენილ და მეხანიკურათაც განუვითარებელ ზავოდს (უმეტესობა პატარა ზავოდებისა თითქმის უარეს მდგომარეობაშია). მისი მეხანიკური მოწყობილება არის თითქმის პირველ საფეხურზე და არ ეტყობა არავითარი განვითარება. ავიღოთ თუნდ ქესტის საჭრელი და საჭედი მანქანა „სტანოკი“ (დაზგები), რომელიც წარმოადგენს დიდ მძიმე სატრიალებელს, რაღაც ურის მგზავს იარაღს, რომელსაც გარშემო უდგას თითო კაცი, და ამ თითო კაცმა უნდა ატრიალოს ეს მძიმე მანქანა ხან წაღმა და ხან უკუღმა, შეუჩერებლათ, მთელი დღის განმავლობაში. რათქმა უნდა რომ ამაზე მომუშავე მუშას ძალ-ღონე თან-და-თან ეკარგვის, არაქათი ელევა და ძლივს მიბარბაცობს მუშაობის შემდეგ ბინაზე. სწორეთ ასეთ სიძნელის ვამო ერთმა ამაზე მომუშავემ—უწოდა ამას მეტ სახელათ „განუვითარებული სტანოკი“. რა მხრივათაც განდა გაშინჯო ამ ზავოდის მორთულობა, რომელ საგანსაც გინდა შეეხო ყველგან და ყველაფერში იგივე ძნელი და აუტანელი სამუშავო, და იგივე კაცის მეტის-მეტათ დამასუსტებელი და ძალის გამომლეველი იარაღები გხვდება წინ. მაგრამ წარმოიდგინეთ რომ ყველა ასეთ ძნელ და აუტანელ სამუშაოსთან ერთათ გამოუთქმელი სისასტიკე და უწესობაც სუფევს; ასე რომ მუშების დათხოვნა, ფასის დაკლება, ლანძღვა გინება, და მათრახებით ზურგზე ბოლის აყენება, იშვიათი არ არის ხსენებულთ ზავოდში. სხვათა შორის აქ ერთი პრიკაშჩიკი თავართქილაძე თარეშობს, რომელსაც მიუხედავათ ახლანდელი წეს-რიგისა,—შემოუღია თავის საბატონოში ძველი ბატონ-ყმური „დესპოტიზმი“. ამ ვაჭბატონს აუღია ხელში „კნუტი“ (მათრახის მგზავსია, რომელსაც მედროგეები ხმარობენ) და ისე დღე არ გაივლის, რომ ერთი ორი მუშა ამ „კნუტის“ ცემით არ გამოაგდოს სამუშაოდან. მარა მუშები იმდენათ დაბალი შეხედულობისა არიან თავის-თავზე, და იმდენათ ნაკლებათ აფასებენ თავის თავ-მოყვარეობას, რომ მუდლ მოდრეკით შეთხოვენ ამ თავის კეთილის მყოფელს: „შენი ჭირიმე ნუ დამითხოვ სამუშაოდან და რა გინდა ჩემგან სამაგიეროო“, მარა ეს ვაჭბატონი ლანძღვა-გინებით, და „მამაძაღლოს“-ს ყვირილით ბიძგებ-ბიძგებით აგდებს ჭიშკარ გარეთ. ხშირათ ყოფილა ისეთი მაგალითიც, რომ მუშა დაუყენებია ამ თავართქილაძეს სამუშაოზე, უმუშავებია ერთი ორი საათი, მერე დაუთხოვია სამუშაოდან და უთქვამს: „დღეს არ არის ამდენი კაცი საჭირო და ხვალ მოდიო“, ასე უდროოთ დათხოვნილი მუშა ვერც პარახოდზე მუშაობას მიუსწრებს და ვერც სხვა რაიმე სამუშაოს, რადგან ყველგან მუშის მიღების დრო გასულია. ჩვენ გვაკვირვებს რომ გამგე ზავოდისა ბჟავანაძე რათ არ აქცევს ყურადღებას ამას.

გადავიდეთ როტჩილდის ზავოდზე. ამ ზავოდის მოწყობილება ითვლება საუკეთესოთ მთელ ბათომში; ასე ამბობენ: „მთელ ქვეყანაზე ასეთი კარგი მოწყობილი ზავოდი მესამეაო“, და მართლაც რასაკვირველება არ წარმოუდგება თვალ წინ კაცს. აქ ვერ ნახავთ ვერც ერთს კაცის ძალის გამომლეველ და დამასუსტებელ იარაღებს, აქ ვერ ნახავთ ვერც ერთ მანქანას, რომელიც გადაბმულ გადაჯაჭვული არ იყოს მაშინის მორთულობა-მოწყობილებაზე. ყველაფერი გაწეს-რიგებულია, ყველაფერს სიცოცხლის ელფერი ეტყობა, აქ მხოლოთ საჭიროა, რაც შეიძლება, სიმარჯვე, სიცქვიტე და გამოცდილება.

რომელ მუშას არ აინტერესებს ამ ზავოდში მუშაობა.—წარმოიდგინეთ აუარებელი მაშინების და ბორბლების მოძრაობა და ტრიალ-გრიალი. იწყებს თუ არა ერთი უმთავრესი მანქანა მოძრაობას იმ წამსვე ამოძრავდებიან მთელი ზავოდის მანქანები და მაშინები. მოძრაობს მთელი ზავოდი, მოძრაობს მთელი ქვეყანა, ასე გგონია ამას გარეთ არაფერი აღარ არსებობს. საით გინდა მიიხედო რომ განსაკვირებელი და თვალის წარმტაცი მომართულება არ წარმოგიდგეს თვალ წინ. ყველაფერი წეს-რიგზეა მოწყობილი, ყველგან და ყველაფერში მაშინა და მანქანაა გატარებული, ყველგან შრომა განაწილებული და გაადვილებულია; დასამზადებელი მასალა ერთის ხელიდან მეორეში გადადის, მეორიდან-მესამეში და ასე შეუწყვეტლათ ბოლომდის. ამისთვის აქ მუშა ერთ წამს, ერთ წუთსაც ვერ შეჩერდება, რადგანც ერთის შეჩერება იწვევს ასის და ათასის შეჩერებას. მუშა შეუწყვეტლათ შრომაში და ტრიალშია, მარა ეს მას კი არ ღალავს და არ უცრუებს გულს, არა კიდევ უფრო სიმხნევეს და ენერგიას უმატებს მუშაობასას და შრომისას. აქ მუშებსაც შედარებით კარგათ ეპყრობიან, გარდა იმისა რომ მანქანების ზრდა განვითარება იწვევს მუშების გამოკლებას და ამასთან დღიურ ქირის დაკლებას. ნუ თუ, ეკითხები შენსავე თავს ყველა ამის მნახველი, ამდენზე წინ წავიდა კაცის გონება, რომ ყველაფერში მაშინა და მანქანა გამოიყენა, და ნუ თუ ყველა ეს მაშინების და მანქანების ტრიალ-გრიალი, გამომწვე-

ვი მუშა ხალხის დაჩაგვრის და ულუკმა-პურო პროლეტარათ გახდომისა, სიამოვნებას უნდა გგვრიდეს? მარა რა ეუყოთ რაკი უამისოთ სანატრელი მერმისის მოპოვება ყოველად შეუძლებელია...

მ. ფ—შვილი.

—

ს. ზეინდარი (ქუთაისის მაზრა). სოფელი ზეინდარი ქუთაისიდან ოცდა ხუთი ვერსტის მანძილზე იქნება. მდებარეობა ამ სოფელს სწორეთ შვენიერი აქვს. აღმოსავლეთით თავს გადმოჰყურებია ამაყათ წამოჭიმული აჭარა-გურიის მთის ტოტი. ჩრდილოეთით თვალ-გადაწვდენელი მინდერები. მდ. რიონის სიახლოვე ზეინდრის სამუშაო მიწებს ანაყოფიერებს, აცოცხლებს. მიწა კარგი მოსავლიანი აქვს. საბალახო მინდერები ბლომათ არის. შინაურ ცხოველების მოშენებასაც მისდევენ. თითქმის ყველას ჰყავს თითო ცხენი, ძროხა, ულელი ხარი და სხვა-და-სხვა ფრინველები. თავადებს ჯოგიც ჰყავთ ოთხფეხა ცხოველებისა. ბუნებას ყოველი მხრით დაუსაჩუქრებია ეს სოფელი; ციებ-ცხელებას აქ ვინ გაიგონებს. ზეინდარი ნაწილია ამაღლების საზოგადოებისა, რომელიც ათას ხუთასი კომლისგან შედგება. აქ სამი წოდებაა: თავადი, აზნაური და გლეხი. თავადი აზნაურზე მეტია, ხოლო გლეხობა კი ყველას ჭარბობს.

როგორც ვთქვი ამ სოფელს ბუნებრივი სიმდიდრე არ აკლია. მკითხველი იფიქრებს, რომ ეს სოფელი უზრუნველ-ყოფილი იქნებაო, მაგრამ შეცდება. ჩემი აზრით სწორეთ ამ სიმდიდრეს ჩამოუქვეითებია აქაური გლეხი. არა თუ მარტო გლეხი, არამედ ჩვენი ბურჯები, ჩვენი... თავადობაც... „ჭადი ბევრი მაქ და პური, დანარჩენი რათ მინდაო!“ ამბობს აქაური გლეხი, ამბობს და ასრულებს კიდეც. ის ერთი ძალიან გააძღე, დააბერე, აჩხუბე და მერე თუ გსურს გეყმობა. ამისთვის არ არსებობს არც განათლება, არც სიწმინდე, არც სხვა რამე, რაც უმთავრესია ცხოვრებაში. ყველაფერს, რაც კი განათლებას შეეხება, ეჭვის თვალით უყურებენ ზეინდრები, ყველაფერს დასცინიან. ამ სოფელში არც სკოლა არსებობს და არც სხვა გონების საკვარჯიშო. თურმე არა თუ აქ არამედ მთელ ამ საზოგადოებაში, რომელსაც ზეინდარი ეკუთვნის, სკოლის ხსენება არ არის. ნუ თუ ამ სოფელს არა ჰყავს განათლებული პირნი? ჰყავს, როგორ არა, მარა, როგორც მოგეხსენებათ, სიბნელე და სინათლე ვერ არის ამხანაგები, ამიტომ სინათლე გაქცევია სიბნელეს: შენ შენთვის იყავი და მე ჩემთვისო. თ. კირილე ლორთქიფანიძე, თ. ნესტორ ერისთავი (ქუთ. ბანკ. დირექ.), ორი თუ სამი საექიმო ფაკულტეტზე კურს დამთავრებული ახალგაზდები, სულ განათლებულები, ამბობენ, მარა ესენი თავის საკუთარ საქმეს გამოჰკიდებიან და სხვაგან წასულან. მთელი სოფელი რომ დაიარო გაზეთის ნახევსაც ვერ ნახავ. თუ იკითხე — სიცილათაც არ ეყოფათ.

აქაური გლეხი ეს ნამდვილი ტიპია ძველი, საშუალო საუკუნის გლეხისა. ის არ გამოდის კარში, სოფელს არ გაცილდება. ქუთაისში დღესასწაულის წინ თუ წავა რამეს საყიდლათ, თვარა მთელ წლობით არის სახლში და ყანას მუშაობს. კიდეც ეს არის მიზეზი, რომ მას რაღაც მხეცური, უნდო ინსტიქტი აქვს. სხვა სოფლის კაცი მისი მტერია, სხვა კაცმა რომ ერთი სხვაფერ უთხრას რამ, ის ვერ ითმენს, „რაება მკადრა გადაღმიელმაო“. ასე გაშინჯეთ მთელი სოფლის ახალგაზდობა შეფიცებია ერთმანეთს ეკლესიაზე: თუ ვინმემ უცხომ ჩვენებურს რამე ჰკადროს, ყველამ შური ვიძიოთო. რვაას კომლ კაცს ერთი მღვდელი ჰყავს და ორი ეკლესია აქვს. ამისგამო ხშირათ ჩხუბი ხდება მრევლში, არა ჩვენ ეკლესიაში სწიროს მღვდელმა და არა ჩვენშიო. ხოლო აღდგომას და ახალწელიწადს ყველა ერთ ეკლესიაში იყრის თავს. და მაშინ არის ერთი ვაება: „ბიჭო, ქვედაურებო არ დააკლდეთ ეკლესია, თვარა, ჩხუბი თუ იქნა ზედაურები გვაჯობებენო!“ აი, ასე გაფრთხილებით მიდიან ეკლესიაზე; თითო კეტი ან ხანჯალი ყველას აქვს თან.

სასულიერო მთავრობას ფული გამოულია სამი სკოლის დასაარსებლათ, მაგრამ აქაც „ზედაურ-ქვედაურობა“ აფერხებს საქმეს. ერთს ზევით უნდა, სკოლა მეორეს ქვევით და არც ერთს კი არ აქვს. ნეტავ როდის გაიღვიძებს ზეინდარი? ერთი სიტყვით, რომ უყურებ ზეინდრის ზეზეურ ცხოვრებას, მის პატრიარქალურ ერთ ფერობას, მის ბნელით მოცულ გონებრივ ატმოსფერას, მის ველურობას, გული გიკვდება, ლონდები და უნებურათ გეხატება თვალ წინ „სულ ცხონებული“ ბატონ-ყმობა. დიახ, სოფელი ზეინდარი ბატონყმობის ნიმუშია, მისი სურათია!...

ბ—ი. მენიეთელი.



კვირიდან კვირამდე

უძაღლო ქვეყანაში კატას აუეფებდენ — წინმსვლელობა უკან წასვლით — „ტოკარ, ხარო ში ტოკარ“! — ერთი ეკრობიული განზრასვა — დავთარ დაბნეული გამგეობა.

ᲓᲐᲛᲔᲠᲗᲝ ᲩᲔᲛᲝ! რა და რა ამბების მოწამე არ

ვიყავი ხუთშაბათ საღამოს? რა და რა ჯურის ხალხი არ ყოფილა თურმე ჩვენში! და კიდევ როგორ ყოფილა, განა თავისთვის, თავისიანებში? ასეთებს კიდევ როგორც იქნებოდა გავუძლებდით, ან კი რა საქმე გვაქვს ამათთან. მარა საქმეც იმაშია, რომ ამით აღარ კმაყოფილდებიან, ისინი მაღლა-მაღლა მიცოცავენ და ერთ შვენიერ დღეს დაინახავ, რომ რიღაცის სათავეში დასკუპება მაინც უკვე მოუსწრიათ. მერე? მერე არაფერი, ზის და ზის იქ, რისთვის, ვისთვის — ეს თვითონაც არ იცის. დრამატიულმა საზოგ. გამგეობამ ხუთშაბათს კრებაზე განაცხადა: ერთი გვასწავლეთ, რისთვის ვართ არჩეული, რა უნდა გავაკეთოთ! — რისთვის და ქართულ თეატრს უწინამძღვრეთ! მიაძახეს აქედან-იქიდან. — კი. მარა ტრუპას ვერ ვიყოლიებთ, რეპერტუარს ვერ შევადგენთ, ფულს ვერ ვიშოვით, შრომას ვერ გავინაწილებთ, სცდომებზე არ ვიელით და... გამგეობაში კი მაინც გვინდა ვიყოთო — გვიპასუხა გამგეობის თავმჯდომარემ! უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებენო! სწორეთ ასეა ჩვენი საქმე. მთელი ეს გამგეობა ერთი გასაშტერებელი მოვლენაა, ჯერ ერთი რომ არც კი იციან (ორიოდე წვერს გარდა) ქართული წარმოდგენები თუ სადმე არსებობს, ქართული ლაპარაკი თუ მოსახერხებელია, ქართული პიესა თუ ვისმეს დაუწერია. ერთმა კიდევაც აღიარა: რათ გვინდა ქართული თეატრი, ჯერ ეს ჩვენთვის ადრეაო! დიახაც რომ ადრეა ამ ჩინურ გამგეობისათვის. რასაკვირველია, არც რაიმე სმეტა წარმოუდგენიათ, არც რაიმე მოქმედების პლანი, არც რაიმე მოსაზრება — ერთი სიტყვით არაფერი უბრალო პროტოკოლიც კი არა. რატომ არ გსურთ წარმოდგენების გამართვა? შეეკითხენ გამგეობას. — ამის პასუხს ვერ გეტყვით, ეს ჩვენი საიდუმლოებაა! განაცხადა იმავე მხარ-ბეჭიან რუსეთუმემ. მარა კრება მაინც არ მოეშვა, გინდა თუ არა გვითხარიო, და ეს „თხრობა“ გადადვეს ოთხშაბათ საღამოსათვის. ვურჩევ მკითხველს დაესწროს ამ კრებას და თავისი თვალით იხილოს ეს გამგეობის საარქეოლოგიო ეგზემპლიარები...

***

ერთნაირ საკვირველებას ეს ჩვენი ოზურგეთიც წარმოადგენს. ეს რამდენი ხანია გვესმის ოზურგეთში პროგიმნაზიას ვაარსებთო. ყველას გაგვეხარდა, ყველა ვინატრით ამ საქმის დაგვირგვინებას. მარა ამ პროგიმნაზიაზე დავაში და ლაპარაკში თურმე ნუ იტყვით ისიც კი ეკარგვიო, რაც კაი ხანია შეიძინეს. მიზანში ამოუღიათ სამოქალაქო სასწავლებელი, ეს გურულებისთვის მეტი ბარგია და ისევ სამეურნეო სასწავლებლათ გადავაკეთოთო. ოზურგლები იმას ჩიოდენ, რომ ტყვილათ ვაცდენთ ბავშებს სამეურნეო განყოფილებაში, არც რამეს სწავლობენ და არც რამე სასწავლიაო. ახლა ამ „ცდენას“ კიდევ უფრო აფართოებენ. აქამდი 40—50 შეგირდი ცდებოდა, ამიერიდან 200—300 მოვაცთინოთო. სამოქალაქო სასწავლებელი პროგიმნაზიათ რომ გადაკეთებულიყო, კიდევ შეურიგდებოდა კაცი, თუმცა ისინი ერთი მეორის ალაგას ვერ დაიჭერენ, მარა მის ალაგას სამეურნეო სკოლის, და ისიც დაბალი ხარისხის, დასკუპება — ეს სწორეთ მეტის-მეტია და ძალიან გვიკვირს მუდამ სწავლა-განათლებაზე მოლაპარაკე ოზურგელი, როგორ ურიგდება ამას. ვეჭვობთ, რომ ეს იყოს წინ-მსვლელობა, პროგრესი.

***

ეს რაღაც პროგრესია ძალიან ბევრ ხალს უბნევს დავთარს. მტკუანი და მართალი პროგრესი, პროგრესიაო გაიძახის და თანაც თავის ჯიბიდან ამოაქვს რაღარ ფარატინა ქაღალდი და ხელში გაჩრის აი, რაც აქ წერია — ბატონი პროგრესიც ის არისო. ეს რამდენიმე წელია ამ ჩვენ ქვეყანას ერთი ასეთი ფარატინა ქაღალდი გადაეფარა და მერე დიდ და პატარას ძილი აღარ აქვს. დიდს იმიტომ, რომ სიხარულით აღტაცებულია, ხოლო პატარაებს კი ერთი ახალი ჭაპან-წყვეტა მოემატა და აბა რაღა გაახარებს. ეს თავ-ბრუ დამხვევი მოძღვრება, რასაკვირველია, სწავლა განათლებას შეეხება და აღიარებს: ვინც ჩემ „ტოვარს“ შეიძენს ის სულ მოკლე დროში შეისწავლის უცხო ენაზე წერას, კითხვას და ლაპარაკსაო. მოგეცათ სიცოცხლე ჩვენ ამ თაღლისმამ მიგვიტაცა, დუქანი გაივსო ხალხით, ყველას ეღირსა თითოს ყიდვა და იღლიაში ამოჩჩრილი შინისკენ მოჭკურცხლვა. ვიწამეთ სასწაულება, თაყვანი ვეცით ჯადოქარს, მარა ამ ბოლო დროს სულ ერთიანათ ჩაგვამწარეს, გამოსულან ვიღაც-გადამთიელნი და საჯაროთ გვიცხადებენ: რას სულელობთ, საბაზრო რეკლამას რას აჰყოლილხართო. არ გჯერათ? არც მე დავიჯერებდი რომ ჩემი თვალით არ წამეკითხა „ახ. მიმოხ.“ № 5039. კავკავის მასწავლებელთა და ინსპექტორებთა კრებას ერთ ხმით უთქვამს: ყოვლად უვარგისია ეს რაღაც „ბუნებრივი მეთოდიაო“. ხოლო დირექტორს დაუძენია: უცხო ენის სწავლა მხოლოთ სამშობლო ენის საშუალებით შეიძლებაო! დიდება შენ ღმერთო! ესეც მეორე სასწაულება!

***

ერთი მართლაც პროგრესიული საქმე ბათომში განუზრახავთ. ბათომი, მოგეხსენებათ, სამრეწველო ქალაქია და მრეწველებას ხომ მუშა-ხალხი ბუზივით ახვევია. ყოველ კუთხიდან იქ მიდის კაცი ფულის საშოვრათ, მარა ხშირათ არა თუ შოულობს არა-



ფარაონის ქალს ხელთ უჭირავს ნაპოვნი "ბავშ=მოსე წინასწარმეტყველი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ თავისასაც ადებს, მთელი თვე უსაქმოთ დაეხეტება და ბოლოს ხელცარიელი ბრუნდება. და აი, ახლა, იქაურ საქველ-მოქმედო საზოგადოებას აზრათ მოსვლია დაარსება ისეთი ბიუროსი, რომლის მიზანი მუშათათვის სამუშაოს მოპოება იქმნება. აი, ერთი სასარგებლო დაწესებულება! ასეთი ბიურო ევროპის ყველა ქალაქშია; წინეთ ის დაარსეს თვით მუშებმა, შემდეგ ქალაქი ჩაერია და თვითონ იკისრა მისი გამართვა. ამ ჟამათ ეს ქალაქებთა აუცილებელი დაწესებულებაა და დიდ ფულსაც ხარჯავენ. ჩვენში? ჩვენში, რასაკვირველია, მუშაც ბევრია, გაჭირებაც დიდია, მარა ქალაქი იმას ყურადღებას არ აქცევს. და ისიც დიდ ღვთისწყალობათ უნდა მივიღოთ, თუ რომელიმე მადლიანი პირი თუ საზოგადოება მუშათა არსებობას ხან-და-ხან სიტყვით მაინც გაიხსენებს. ბათომის ქველ მოქმედთა განზრახვა მოსაწონია, მარა არ გვგონია იმათ თავის მიზანს მიაღწიონ. გაცილებით ნაყოფიერი იქნება ასეთი ბიურო ქალაქის თვით-მართველობის და მუშათა წარმომადგენელის ხელში. დრო არის ბათომმა, ამ ევროპიულ ქალაქმა, აქაში მაინც მაგალითი მისცეს სხვა ჩვენ ქალაქებს.

* * *

აბა, მე შენ გეტყვი და ასეთ რამეს თფილისი მოახერხებს. აქაურ თვით-მართველობას უბრალო საქმეშიაც ვერ მოუხერხებია რაიმე წეს-რიგის და განწყობილების შეტანა. თუ რამე კეთდება, კეთდება—ისე შემთხვევით, უპლანოთ, უსისტემოთ, როგორც თავში მოუვათ და ყურში ჩაჩურჩულებენ. ჯერ ერთი მას ისეთი მოხელენიც ვერ უშოვია, რომ ქალაქის ავ-კარგს ყურადღება მიაქციონ და მართალი ამბავი შეიტყონ. ამის წინეთ ქალაქის ექიმი ატყობიებდა გამგეობას: მეხუთე უბანში ქუჩები სულ გაბინძურებულიაო. ახლა პოლიცია აცხადებს, ქალაქის ექიმი ტყუის, მას რამდენიმე თვეა ის ქუჩები არ უნახავს და თითონაც არსად ჩანსო! ახლა მოდი და დაუჯერე ქალაქის გამგეობას და მის დეე-გმირებს. რაღას უნდა მოველოდეთ იმათგან, რომელთაც ქუჩის მდგომარეობაც ვერ გაუგიათ. ამაზე მეტი გაკოტრება შეიძლება?

ახირებული საქმე.

ბუთი წელიწადია რაც მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ, დიდ თათბირს შემდეგ, გახსნა სამაგალითო სკოლა, რომელშიაც უნდა გაეყვანა პრაქტიკულათ ის პედაგოგიური აზრი, რომელიც არ ახალი — ძველია, ე. ი. რომ ყმაწვილის გონება არ დაიხშოს და განვითარდეს უსათუოთ დედაენაზე უნდა დააწყებინონ სწავლა და მისი შემწეობით შეასწავლონ საგნებიც და სხვა ენაც. თუმცა ზოგიერთი მასწავლებლები ეწინააღმდეგებოდენ ამ აზრს, ბაგრამ სკოლა მაინც დაარსდა ქართული და სომხური განყოფილებით. განვლო ხუთმა წელიწადმა და არც ქართულმა და არც სომხურმა განყოფილებამ ფეხი არ მოიკიდა, არ იხეირა და ამ წელს მასწავლებელ ქალთა საზოგადოება იძულებული არის დახურის ეს განყოფილებანი, თუ ექვსი-შვიდი ბავში არ მოგროვდა სკოლაში (ახლა ქართულ განყოფილებაში არც ერთი არ არის, სომხურშიაც მხოლოთ ერთია). სწორეთ ახირებული საქმეა ჩვენი დედ-მამების ამბავი, ჯერ ყურადღებას არ აქცევენ ყმაწვილების გონებრივ განვითარებას, გადაგვარების ხალისმა სრულებით გაიტაცა იგინი; მერე კი, როცა საქმე გაფუჭდება, შვილები თუთიყუშებათ გადაექცევათ, მოჰყვებიან გოდებას: „არა ფერს ვზოგავდით, უკანასკნელ პერანგსაც ტანიდან ვიცლიდით, ვაბინავებდით ძვირფას პანსიონებში, გიმნაზიებში, მაინც დალოცვილმა ღმერთმა ნიჭი არ მისცა ჩემ შვილს, რომ ხეირიანათ ესწავლაო". ის კი ავიწყდებათ, რომ სახლს საძირკველიდან იწყებენ და არა სახურავიდან, თუ დასაწყისი სწავლა ბავშს უკულმართათ აქვს გონება დაეჩლუნგება ⁄ მაშინ მისგან სახეირო არა გამოვარა. მაგრამ მახლას!...

წ.

საზღვარ-გარეთ [1])

ინგლისი. აგვისტოს გასულს მოხდა ინგლისის მუშათა საზოგადოებების—ტრადიუნიონისტების — 31 წლიური კონგრესი ქ. ბრისტოლში. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბრისტოლის ტრადიუნიონისტთა მეთაური სოციალ-დემოკრატი ჯემს ოგრედი. მან თავის სიტყვაში, სხვათა შორის, თქვა შემდეგი: ოცი წლის წინათ, 1878 წ., აქ, ბრისტოლში, გამართულ კონგრესს დაესწრო მხოლოთ 136 დელეგატი, რომელნიც 623,957 ხმას წარმოადგენდენ. დღეს კი დელეგატთა რიცხვი 430-მდის ავიდა და წარმოადგენენ

[1]) „ტვალის" მგითხველთ არა ერთხელ განუცხადებიათ ჩვენთვის, „ტვალში" უცხოეთის ამბებიც მოათავსეთო. კასრულებთ რა ამ მათ სურვილს, ვთხოვთ თუ რამე გაუგებარი და განუმარტებელი იყოს, მოგვმართონ ასახსნელათ და გასარკვევათ. ცნობებს, უმრავლესთ, საზღვარ-გარეთელ ჟურნალ-გაზეთებიდან ამოვკრებთ.

რედ.

1,250,000 შეერთებულ მუშა-ხალხს. ჩვენ ვითხოვთ დღეს აიკრძალოს სამრეწველო დაწესებულებებში ბავშვების მუშაობა, მამულს დაედვას გადასახადი თანახმათ მისი დღევანდელი ღირებულობისა და არა 1692 წლის დაფასებისა, მთა მადნები და რკინის გზები უნდა ჩამოერთვას კერძო მესაკუთრეთ და შეირაცხოს ნაციონალურ საკუთრებათ და სხ. მაშინის მკეთებელ მუშათა უკანასკნელ ვაფიცვამ დაგვანახვა, რომ თვითოეულ ტრადიუნიონს არ ძალუძს თავისი ძალ-ღონით სამუშაო დღე შეამოკლოს და კაპიტალთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. კაპიტალი შეერთებული და ძლიერია, მის წინააღმდეგ საჭიროა დავაყენოთ ყველა ტრადიუნიონების შეერთებული ძალა. აი, ეს გარემოება მოითხოვს ინგლისის მუშათა საზოგადოებათა ნაციონალურ ფედერაციას, რასაც კოოპერიტიული დაწესებულებებიც უნდა შეუკავშირდენ. და მაშინ პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების საქმე ჩქარის ნაბიჯით ამოძრავდებაო.

კონგრესმა პირველათ განიხილა და მიიღო შემდეგი წინადადება: ტრადიუნიონისტმა უნდა გაათეთროს პარლამენტის ისეთი კანდიდატი, რომელიც რვასაათის სამუშაო დღეს მუშათა პირველ მოთხოვნილებათ ცნობს და მის დასაკანონებლათ პარლამენტში იმოქმედებს. მეორე წინადადება იყო: დაარსდეს ახლო კავშირი ინგლისის და უცხოეთის მუშათა ერთიგვარ საზოგადოებათა შორის. გაიმართოს მათი საერთო კონგრესები და შრომის ინტერესი საერთოთ დაიცვან. შრომა დღეს ინტერნაციონალურია თქვა ერთმა—მაშასადამე გაფიცვაც ინტერნაციონალური უნდა იყოს. ბრძოლა დღის ქირისთვის წარმოებს მთელ ქვეყანაზე, და უსამართლობას, რასაც ერთ მუშას მიაყენებენ, მიაყენებენ ამით მთელი ქვეყნის მუშა-ხალხსო. წინადადება დიდის აღფოთოვანებით მიიღეს. ქაღალდის ფაბრიკებში მომუშავეთა წინადადება—კონგრესი ურჩევს ტრადიუნიონისტებს მხოლოთ ის გაზეთები იყიდონ, რომელნიც ინგლისშივე გაკეთებულ ქაღალდეზე იბეჭდება—მიღებული არ იქნა. ამით ჩვენ ინგლისის მუშა-ხალხს ვუპირდაპირებთ უცხოეთის მუშა-ხალხს, რაც ერთიანათ ეწინააღმდეგება ზემოთ მიღებულ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა ასევე მოითხოვს უცხოეთის მუშა-ხალხი ინგლისის საქონელთა წინააღმდეგ და ეს ნიშნავს ბრძოლას და ქიშპობის ჩამოგდებას მუშათა შორისო. მიღებულ იქნა ნოქართა შემდეგი წინადადება: შემოკლდეს ნოქართა სამუშაო დღე და ტრადიუნიონისტს დაეალოს არ ეაჭროს იმ დუქნებში, სადაც ნოქრებს დიდ-ხანს ამუშავებენ და რომელთა პატრონები ტრადიუნიონიზმის მოწინააღმდეგეა. ასეთივე გადაწყვეტილება გავიდა სასტუმრო-რესტორანებში მოსამსახურეთა შესახებ.

შემდეგ მრავალი ასეთი წინადადებებისა კონგრესმა გადაწყვიტა: ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება აღმოვუჩინოთ მუშათა სოციალისტურ პარტიებსო.

საფრანგეთი. საფრანგეთის მთელი ყურადღება ამ ჟამათ დრეიფუსის საქმით არის გარემოცული. მას შემდეგ, რაც დრეიფუსის წინააღმდეგი დოკუმენტი ყალბი გამოდგა, პრესსა და საზოგადოება საქმის ხელ-ახლათ გადაშინჯვას თხოულობს. რა დიდი როლი ითამაშა ამ დოკუმენტმა შემდეგიდან ჩანს. 5 თებერვალს, როცა ზოლას ერთათ ერთი გამამტყუნებელი საბუთი, ბორდერო, დრეიფუსის დაწერილი აღარ აღმოჩნდა, წამოდგა მოწმეთ მოწოდებული გენერალი პელიე და განაცხადა: „თქვენ გსურთ სინათლე დრეიფუსის საქმეში. მე შემიძლია ეს სინათლე შეეიტანო. როცა დეპუტატი კოსტელაინი სამინისტროს შეეკითხა დრეიფუსის დასჯის შესახებ (1897 წ. ნოემბერში) სამხედრო სამინისტროში მოიტანეს ერთი უეჭველი დამამტკიცებელი საბუთი დრეიფუსის მოღალატეობისა. მე თვითონ ვნახე ეს საბუთი. ეს პაკეტია, რომლის სინამდვილე საეჭვო არ არის. პაკეტში იყო ამნაირი წერილი: „დრეიფუსის შესახებ პარლამენტში შეკითხვა იქნება. არავის არ უთხრა, რომ ჩვენ რაიმე დამოკიდებულება გექონდა მასთან.“ ამ განცხადებამ დიდათ ააღელვა სამსჯავროო. მსაჯულნი დარწმუნდენ დრეიფუსის დანაშაულში და მისი მომხრე ზოლა დასაჯეს. ეგევე დოკუმეტი წაიკითხა სამხედრო მინისტრმა კავენიაკმა პარლამენტში დრეიფუსის მომხრეთა ალაგმავათ და მისი სიტყვა გაკრულ იქმნა მთელ საფრანგეთში. და აი, ეს „უეჭველი საბუთი“ შტაბის ოფიცრის ჰანრის მიერ შეთხზული გამოდგა. და თუ ამ რამდენისამე კვირის წინეთ პარიჟის ქუჩებში გაძახოდენ შეაფურთხეთ ზოლასო, დღეს, იგივენი გაიძახიან: გაუმარჯოს ზოლასო!

— ეშმაკის კუნძული, სადაც დრეიფუსი თავის სასჯელს იხდის, მდებარეობს სამხრეთ ამერიკისაკენ. სიგრძით არის ორას საჟენამდის, ხოლო სიგანით 25—60 საჟენამდის. იქ არავინ არ ცხოვრობს, გემი ძალიან იშვიათათ მიადგება. დრეიფუსი დამწყვდეულია ერთ სახლში, რომელიც რკინის ღობით არის შემორტყმული. სახლის წინ კედელია აშენებული, რომ ზღვა ვერ დაინახოს. დარაჯს აკრძალული აქვს მასთან ლაპარაკი.

— სამხედრო მინისტრი წინ-აღუდგა დრეიფუსის საქმის გადაშინჯვას, ხოლო დანარჩენი მინისტრები კი გადაშინჯვის მომხრეა. პირველმა თავი დაანება სამსახურს. მის ალაგას მიწვეულ იქმნა გენერალი შანუანი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. გერმანიის მთავრობამ გამოააშკარაევა ციფრები წლეეანდელ დეპუტატთა არჩევნებისა და შეადარა 1893 წლის არჩევნებს. აქედან ჩანს შემდეგი: კონსერვატულ პარტიას მიუღია 1893 წ. 1,474,788 ხმა, წელს კი 1,204,561 ხმა, ანტისემიტებს 263,861 ხმა, წელს 224,471. ცენტრს 1468,501, წელს 1,454,278, ნაციონალ-ლიბერალებს 996,980 და წელს 975,534; თავისუფალ-მოაზრეთ 924,920 და 748,685. გერმანიის სახალხო-პარტიას 166,757 და 108,493; სოციალ-დემოკრატიას 1,78[illegible],738, წელს 2,105,305 და სხვ. აქედან ცხადია, რომ ყველა პარტია უკან-უკან მიდის, ერთათ ერთი მუშათა პარტია იზრდება და მატულობს.

— 1889 წ. მაისში ახლათ ტახტზე ასულმა ვილჰელმა შემდეგი სიტყვა უთხრა მთა-მადნების პატრონთ: „ეს თავის თავათ ცხადია, რომ თვითოეული ადამიანი ცდილობს სასურველ ცხოვრების საშუალება შეიძინოს. მუშები გაზეთებს კითხულობენ და იციან მათი დღის ქირა პატრონის შემოსავლის რა ნაწილს შეადგენს. და რასაკვირველია ისინიც მეცადინეობენ, ამ შემოსავალში ასეთი თუ ისეთი წილი ჰქონდეთ“. ამით იმპერატორმა აღიარა, რომ მუშასაც უფლება აქვს თავის ინტერესებისთვის კაპიტალისტის წინააღმდეგ იბრძოლოს. ამას შემდეგ კაი ხანი გავიდა. მუშათა პარტია გაძლიერდა და დაამინა ბურჟუაზია. მის შესაჩერებლათ ახალ-ახალ ზომებს ეძებენ. ამან გაელენა იქონია მეფეზე და აი, რა სიტყვა წარმოთქვა მან ამ ერთი კვირის წინეთ:

„დაცვა გერმანიის შრომის, დაცვა იმათი, ვისაც მუშაობა სურს—ეს ჯერ კიდევ გასულ წელს ქალაქ ბილეფელდში საჯაროთ დაგპირდით. ამ ჟამათ მუშავდება კანონი და ახლო მომავალში რეიხსტაგს წარედგინება მისაღებათ. ამ კანონის ძალით თვითოეული, ვინც უნდა იყოს და რა სახელიც უნდა ერქვას, რომელიც კი გერმანელ მუშაობის მსურველ მუშას ხელს შეუშლის მუშაობაში და გაფიცვაზე წაახალისებს, იქნება გასამართლებული და ციხეში ძალათ მუშაობით დასჯილი (Zuchthaús).“ აი, ამ სიტყვამ ყირაზე დააყენა მთელი გერმანია. ამით უქმდება მუშათა ძირითადი უფლება—გაფიცვის თავისუფლება, მუშას ეკრძალვის თავის ინტერესებისთვის ბრძოლა. ყველა პარტიებმა; გარდა კონსერვატორთა და ნაციონალ-ლიბერალთა, წინააღმდეგობა განაცხადეს. სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ გამგეობამ გადაწყვიტა: გამართოს ბერლინში და სხვა ქალაქებში პროტესტის მიტინგები.

— გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წლიური კონგრესი გაიმართება ამ თვის გასულს ქ. შტუტგარტში.

— „ფრანკფურტის გაზეთში“ მოყვანილია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მურავიევის აზრი რუსეთის შესახებ. მან ამ რამდენისამე წლის წინეთ ასე დაახასიათა რუსეთი ერთი გაზეთის თანამშრომელთან: „მე ვარ სლავიანოფილი, ისე როგორც ამას ყველა რუსი თავის გულის სიღრმეში გრძნობს. მე მრწამს, რომ რუსეთს ისეთი ცივილიზაციური საქვეყნო მისია აქვს, რომ არც ერთ სხვა ხალხს არა აქვს. და ეს არა მარტო აზიაში, არამედ ევროპაშიაც. რუსეთის დანიშნულებაა კაცობრიობის ახალი და საუკეთესო ხანა მოამზადოს და კაცთმოყვარეობა ხალხთა შორის განამტკიცოს. ევროპის გონებრივი კულტურა დავარდა. ჩვენ, რუსები, ვატარებთ ჩვენივე მხრებით ახალ დროს. ჩვენ „დაღალულკაცთა ადგილი უნდა დავიჭიროთ. მე ვარ სლავიანოფილი, მარა არა შოვინისტი. ძლიერი რუსეთი არის საუკეთესო თავდები კაცობრიობის მერმისისათვის და რადგანაც მშვიდობიანობით ყველაზე უფრო რუსეთი ვითარდება და ხალხიც ჩქარა მატულობს, ცხადია ის წინ გაასწრებს დანარჩენ სახელმწიფოებს, თუ კი, რასაკვირველია შემთხვევა დაგვირჩა მშვიდობიანათ და წყნარათ ცხოვრების აი, რატომ არც ერთი სახემწიფოსთვის, თვით დიდი ბრიტანიისთვისაც კი, ისე საჭირო არ არის მშვიდობიანობა როგორც ჩვენთვის“. და სხვ.

ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ. აგვისტოს დამლევს ნიდერლანდიის (ჰოლანდიის) აწ გარდაცვალებულ მეფის მემკვიდრე ქალს – ვილჰელმინას – შეუსრულდა 18 წელიწადი და მით გახდა სრულ წლოვანი. დედა-მისი მაშინვე გადადგა სამეფოს რეგენტობიდან (მარიეა შვილის მაგიერ) და ვილჰელმინა აეიდა ტახტზე. ნიდერლანდიაში მეფის გვირგვინის კურთხევა არ იციან. ის მხოლოთ საჯაროთ ფიცს მიიღებს. აი, ეს ფიცი: „შევფიცავ ნიდერლანდიის ხალხს, რომ არსებული კონსტიტუცია მუდამ დავიცვა და მას დავემორჩილო. შევფიცავ, რომ მთელი ჩემი ძალ-ღონით დავიფარო და შევინახო სამეფოს დამოუკიდებლობა და მისი მიწა-ადგილები. შევფიცავ, რომ ჩემ ქვეშევრდომთა უფლებები, მათი საზოგადო და პირადი თავისუფლება დავიცვა და ყოველივე კანონიერი ღონის ძიებით გავაძლიერო. ღმერთი იყოს ჩემთან“!..

ᲑᲐᲖᲐᲠᲘ. ამ ჟამათ ფუთი ჩვენებური სიმინდი ლონდონში ღირს 59¾ კაპეიკათ.

* * *

Ара, ара мінда іқ мікондді біна,
сад тандда-дзнісіс ідодділт дроді

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხრომაშია, არ იცის რაა
სეკდა-ნადგელი, მოთქმა და გლოვა!..

—

სად გული ლხინობს შვებით აღსავსე,
სად სისარული შეფობს მარადის,
სად სული ტკბება და უდარდელი
ღიღინი ისმის ბედით დამტკბარის!..

—

მსურის რომ მარად იქ ვიყო, სადაც
გადმოჩქეფს ცრემლის და ოფლის დკარი,
სად მწუსარებას, მოთქმას, გოდებას
ალარ აქვს ბოლო, არ აქვს საზღკარი!..

—

სად გმინკა, ოხვრა, ბედისა წუკდა,
მწარე ნადგელი, გულის ტკივილი
ამ ჩემს ტკივილებს პასუხს მისცემენ —
იქ მსურს სიცოცხლე, იქ მსურს სიკვდილი!..

გ. გოგოლაძე.

ქვემო-ქიზიყის მომხმარებელ საზოგადოების საგანგებო კრება.

ᲗᲕᲘᲠᲐᲡ, 6-ს სექტემბერს ს. ქვემო-მაჩხაანში მოხდა დასახელებულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ საზოგადოებამ წარსულ აგვისტოსვე მოიწადინა დეპოს მართვა და ხელმძღვანელობა ახალი გამგეობისათვის ჩაებარებინა მაგრამ რაკი ეს მაშინ აღარ მოხერხდა, იმის გამო, რომ არსად აღმოჩნდენ შესაფერი კაცები, საზოგადოებამ თავის უკანასკნელ კრებაზე, 9 აგვისტოს, აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა ყველა ღონე ეღონა და მოეძებნა, როგორმე ახალი გამგეობის შესადგენათ საჭირო კაცები. კრებას დაესწრო წევრთა კანონიერი რიცხვი, ხმის უმეტესობით თავჯდომარეთ არჩეულ იქმნა თავ. ნიკ. ერისთავი.

თავჯდ. (ერისთავი). ბატონებო! მადლობას გიძღვნით არჩევისათვის, მაგრამ უფრო მადლობელი კი მაშინ ვიქნები, როცა დღეანდელ კრებას, დღეანდელ სჯა-ბაას დეპოს სასიკეთოთ და საკეთილდღეოთ დააგვირგვინებთ.

ერთი წევრის თხოვნით, წაიკითხეს წინანდელი კრების ოქმი. შემდეგ თავჯდომარემ კომისიის სახელით წარუდგინა კრებას გამგეობის წევრებათ ასარჩევი პირები: ბბ. ფ. მახარაძე, ი. ჩიგოგიძე (ს. ვაქირის სკოლის მასწავლებელია), ი. ნ. გომელაური (ძველი გამგეობის საპატიო წევრი) და ნ. პოპიაშვილი.

მთელი კრება, გარდა ორიოდესი, ფეხზე წამოდგება და თხოვს დასახელებულ პირთ, განსაკუთრებით კი ფ. მახარაძეს, მიიღონ გამგეობის წევრობა. ბ. მახარაძე თანხმდება, აღუთქვავს კრებას, რომ რაც კი ძალ-ღონე შესწევს ემსახურება მათს დაწესებულებას. თანაც დასძენს: „ჩემი გარემოება ისეა მოწყობილი, რომ მე მხოლოთ ერთი წლით შემიძლიან ვიკისრო ეს თანამდებობა. ამ ხანსაც დავრჩები იმ იმედით, რომ პატივცემული დ. ნადირაძე ერთი წლის შეჰდეგ ისევ დაუბრუნდება დეპოს და ისევ თვითონ იტვირთებს ამ საქმის ხელ-მძღვანელობას“.

ი. ჩიგოგიძე. მადლობას ვწირავ კრებას არჩევისათვის, მარა ჯერ კი არ შემიძლიან თანხმობა გამოვაცხადო, რადგან ერთი ჩემგან დამოუკიდებელი გარემოება მეღობება წინ; ხოლო თუ ახლო მომავალში ისე მოვაწყე საქმე, რომ ეს დაბრკოლება აღარ შემიშლის ხელს, მაშინ კი დიდის სიამოვნებით ვემსახურები ამ საზოგადოებას. თანხმობა გამოაცხადეს აგრეთვე ი. ნ. გომელაურმა და ნ. პოპიაშვილმა.

მღვდ. დ. დეკანოზოვი (ოპოზიციის წარმომადგენელი) ბ.ბ! ნუ ანდობთ საქმეს, რომელიც ადგილობრივ ხალხზე დამოკიდებული, ნუ ანდობთ უცხო ხალხს (იგულისხმებს მახარაძეს და ჩიგოგიძეს), რომელნიც არ არიან გაცნობილნი ჩვენ დეპოსთან, არ არიან გაცნობილნი ჩვენ ხალხთან, ჩვენ ადგილობრივ ცხოვრების პირობებთან. ბბ! ფრთხილათ!.. შეცდომა არ მოგვივიდეს. (სიტყვას თხოულობს ი. ჩიგოგიძე, მარა, რაკი რიგით სიტყვა ეკუთვნოდა გ. ტყავაძეს უკანასკნელი ლაპარაკობს).

გ. ტყავაძე. მე პირადათ ძალიან მოხარული ვარ, რომ ბ. მახარაძე დგება გამგეობის წევრათ, მაგრამ, მარტო პატიოსნება, მარტო განვითარება, განათლება არ არის საკმაო. მართალია, შეიძლება ბ. მახარაძე კომერციასაც გაეცნოს, მაგრამ მაინც აუცილებლათ საჭიროა გამგეობაში ვიყოლიოთ ერთი ვაჭრობის კარგათ მცოდნე კაცი. ბ. ჩიგოგიძე ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება. თუ ჩვენი დეპოს საქმე შეფერხდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ კომერციის მცოდნე არა გვყვანდა.

თავჯდომარე. კომისიას სახეში ჰქონდა ეშოვა ერთი ისეთი პირი, რომ კომერციაც კარგათ ცოდნოდა და გამგეობის წევრობაც შეძლებოდა, მაგრამ ასეთი კაცი ვერ ვეშოვეთ. ამიტომ ჩვენ უნდა ვეთხოვოთ ახალ გამგეობას, მან თვითონ მოიწვიოს ერთი ისეთი ოქარი, რომელსაც პრაქტიკულათ კარგათ ექნება შესწავლილი ვაჭრობის საქმე.

ი. ჩიგოგიძე. უბრუნდება მღ. დეკანოზოვის ზე-

მოთ მოყვანილ სიტყვებს და მწუხარებით აღნიშნავს იმის ნათქვამს. მიუტევებელ დანაშაულათა თელის, როცა ვინმე აღმოსავლეთ საქართველოს შვილი „უცხო ხალხს“ უძახის დასავლეთ საქართველოს შვილებს. ამბობს რომ შემცდარია და უსაფუძვლო ის აზრი, ეითომ ისენი, ვისაც „უცხო ხალხს“ უძახიან, არ იცნობდენ ადგილობრ ხალხსა და ადგილობრივ ცხოვრების პირობებს [1]) — რაც შეეხება ეპჭრობის ცოდნას, დააბოლოვა მან სიტყვა, მაინცა და მაინც ბუხჰალტერები საიდან უნდა მოეიყვანოთ, სადა გვაქვს იმდენი შეძლება? ან კიდევ, რა ისეთი საძნელო საქმეა დეპოს მართვა, რომ ჩვენ ვერ შეეძლოთ ამის გაძღოლა?

მდ. დ. დეკანოზ. საკვირველია, რომ ამ უბრალო საქმეში ეროვნებას ურევენ... (ხმა საზოგადოებიდან: თქვენ თითონ ურევთ. თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს: საგანზე ილაპარაკეთ!) მე იმას ვამბობ, რომ ვისაც ვერ ვიცნობთ, იმას ვერ ვანდობთ მეთქი ამ საქმეს.

მატიაშვილი. ქვემო-ქიზიყური ენა ცოტა მოცხარო და მომლაშოა; აქ არაფერი თქმულა ისეთი, რომ ვისმე რამე წყენოდა. ითქვა მარტო ის, რომ საქმის მცოდნე პირები ამოვირჩიოთო; ვაი თუ მახარაძემ და ჩიგოგიძემ საქმე ვერ წაიყვანონ კარგათ და მერე გვიანლა იყოსო... (ოპოზიცია ხმაურობას უმატებს, კიდევ ლაპარაკობს რამდენიმე. ბოლოს წამოდგება დ. ნადირაძე.)

დ. ნადირაძე. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემ ხელში იყო დეპო, მე ვაწარმოებდი საქმეს და შევისწავლე კიდეც საქმის ავ-კარგიანობა, საქმის ვითარება. ახლა, გამოთხოვებისას, მე მინდა ერთხელ კიდევ შეგასმინოთ, თუ რა არის დეპო და რა მნიშვნელობა აქვს მას.—ორატორმა ერცლათ ილაპარაკა ამ ტემაზე. არ დატოვა უხსენებელი ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო, მომავალი—„ჩვენი წინაპარნი ძლიერნი თავისი ერთობით“. მოიგონა ეარანცოვის დრო, არ დაივიწყა დასავლეთი ევროპა; შეეხო მასწავლებლებს, სამღვდელოებას, თავად-აზნაურობას; უსაყვედურა მათ გულ-გრილობა საზოგადო საქმეში და სხ. ყველა ნალაპარაკევიდან კი ის აზრი გამოიყვანა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის დღეს საჭიროა სწავლა-განათლება, განათლებ-სათვის —ქონება და ქონების მოცემა კი შეუძლიანთ დეპოებს. მან სხვათა შორის თქვა: „აი ჩვენ ოქროს მთა-ბარში ვცხოვრობთ, მაგრამ რა გამოვიდა, როცა ჩვენ სიმდიდრეს ვაჭრები გვაცლიან ხელიდან, როცა ჩარჩები გვაცარცვავენ... (ხმა საზოგადოებიდან: აკი ამოგირჩიეთ შენ, რალათ გვაცარცვავენ ჩარჩები) ერთი კაცი რას გახდება? აქ საჭიროა მთელი საზოგადოების დახმარება, ყველას შეერთება. რათა გგონიათ, რომ ყველაფერი გამგეობაზე იყოს დამოკიდებული, საქმე უმთავრესათ თქვენზეა დამყარებული, თქვენ უნდა მოგვცეთ მხარი და სხ. და სხ. დასასრულ ორატორი ბ. მახარაძეს რეკომენდაციას უკეთებს კრების წინაშე და ურჩევს კრებას მახარაძე აირჩიონ დეპოს ხელმძღვანელათ—(ლაპარაკის დროს თავმჯდომარემ რამდენჯერმე მიმართა ორატორს შენიშვნებით: „საგანზე ილაპარაკეთ!“—„თუ შეიძლება მალე გადადით საგანზე —„გეთაყვა მოკლეთ!“—„не увлекайтесь!“)

გ. ტყაბაძე. რაც მახსოვს დ. ნადირაძე სულ მაგას გაიძახის! მე არ შევეხები იმას, რაც ბ. ნადირაძემ თქვა დეპოს მნიშვნელობის შესახებ, თუმცა ძალიან კი ვიჭვნეულობ, რომ დეპო-კასებს ქვეყნისათვის სადმე განათლება მოეფინოს. მე მხოლოთ იმასვე ვიმეორებ ისევ, რომ ბ. მახარაძეს ერთი ეაჭრობის მცოდნე კაცი უნდა ამოვუყენოთ გვერდში.

მდ. დ. დეკანოზ. მე არ მესმის, რა საჭიროა გამგეობაში ორი ინტელიგენტი და ისიც ჯამაგირებით?!

თავმჯდომარე. აი მაგ. როცა ერთი წევრი წავა თფილისში ანუ სხვა რომელსამე ქალაქში საქონლის მოსატანათ, საჭიროა რომ დეპოში მეორე წევრი რჩებოდეს. გამგეობის უჯამაგირო წევრებს ვერ ვაკისრებინებთ დეპოში დგომას.

ფ. მახარაძე. მე ვერ ვიკისრებ გამგეობის წევრობას ისე, თუ მეორე წევრი არ იქნება ჩემ მუდმივ ამხანაგათ.

ილაპარაკა კიდევ რამდენიმე ორატორმა და ბოლოს მაინც კრებამ გამგეობის წევრებათ აირჩია კომისიის მიერ დასახელებული ოთხივე პირი. (ფ. მახარაძე, ი. ჩიგოგიძე, ი. ნ. გომელაური და ნ. პოპიაშვილი.)

გამგეობის ორ წევრს ფ. მახარაძეს და ი. ჩიგოგიძეს დაენიშნათ ჯამაგირი. პირველს 40 მ. თვეში და მეორეს 30 მ.

მერე ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, თუ რა საშუალებით გაზდილიყო თანხა და რა გზით გაძლიერებულიყო დეპოს წარმოება. გამოითქვა ის აზრი, რომ თვითოეულ წევრს ზნეობრივათ დავალებოდა, საზოგადოებისათვის რამდენიმე ახალი წევრი ეშოვა.

მდ. დ. დეკანოზ. დეპოს იმდენათა აქვს აბრუ გატეხილი, იმდენათა აქვს ნდობა დაკარგული, რომ ჩვენ ახალ წევრებს ვეღარ ვიშოვით. რაც დღეს თანხა მოგვეპოვება გამგეობამ იმითვე უნდა დაიწყოს საქმის წარმოება. ჯერ რაც ფული შემოგვეტანია იმა-

[1]) თუ არ გცდებით, ბ. ი. ჩიგოგიძე სუთი წელიწადი მაინც იქნება, რაც ქიზიყში სამინისტრო სკოლის მასწავლებელთ.

ზედაც ვკანკალებთ, იქნება დაგვეღუპოსო და ხელ-ახლა ფულის ჩამოსელაზე როგორღა ვიფიქრებთ?

ფ. მსხარაძე. თუ აქედანვე არ ვეცდებით წევრების რიცხვის გამრავლებას, ისე საქმე ძნელათ დადგება წარმატების გზაზე. მე არ ვეთანხმები მღ. დეკანოზოვს, ვითომ, დეპოს სახელი იმდენათ ჰქონდეს გატეხილი, რომ ახალი წევრების შოვნა აღარ შეიძლებოდეს. ჯერ ამ ორ-სამ დღეში მე თვითონ ბევრმა განმიცხადა წევრათ ჩაწერის სურვილი.

თანხის გაძლიერებაზე ილაპარაკა კიდევ რამდენიმე წევრმა, რომლის შემდეგ კრებამ დაადგინა: 1) თვითოეულ წევრს დაევალოს ახალი წევრების მოპოებაზე იზრუნოს, 2) ეცადოს დეპოში ივაჭროს ხოლმე და 3) შეკრებილ იქმნას ძველი ნისიები.

ძველი ნისიების ხსენებაზე ოპოზიცია ეკინკლავება ძველ გამგეობას; ლაპარაკი ცხარდება; ხმაურობა მატულობს; თავჯდომარე ცდილობს წეს-რიგი ჩამოაგდოს, მარა რაკი ვერას გახდება, $^1/_2$ საათით ჰხურავს კრებას.

ანტრაქტის შემდეგ, როცა ხელ-ახლა დაიწყო სხდომა, თავჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას, აირჩიონ კომისია, რომელსაც დაევალება სისრულეში მოიყვანოს კრების წელანდელი დადგენილება, თანხის გაძლიერების შესახებ და კერძოთ ნისიების აკრეფაც.

გ. ტყავაძე. როგორ? რაც ძველ გამგეობას ნისიები დარჩენია, მაგის ასაღებათ კომისიამ უნდა იაროს?!.

დ. ნადირაძე. თუ ამ ნისიებიდან რამე დაგეკარგებათ, მაგის პასუხის მგებელი ჩვენ ვიქნებით.

ნ. ხოსიტაშვილისა. ძველი ნისიების საქმე ყველაზე უკეთ ძველმა გამგეობამ იცის და მისი აკრეფაც მანვე უნდა იკისროს და არა კომისიამ.

კრებამ არ შეიწყნარა თავჯდომარის წინადადება კომისიის არჩევის შესახებ და ისევ ძველ გამგეობას დააკისრა ძველი ნისიების განაღდება.

დასასრულ კრებამ აირჩია სარევიზიო კომისიის ერთ ახალ წევრათ—გ. ტყავაძე.

ის იყო კრება უნდა გათავებულიყო, რომ ერთმა ინციდენტმა კიდევ აახმაურა ხალხი. ოპოზიციონისტი მღ. დ. დეკანოზოვი წამოდგა და განაცხადა: „ბბ! მე არა ერთხელ მიმიმართავს გამგეობისათვის და მითხოვნია დამიბრუნონ ჩემი საწევრო ფული, მაგრამ ჩემი თხოვნა არც ერთხელ არ შეუწყნარებიათ. ახლა კიდევ და კიდევ ვუმეორებ, დამიბრუნონ ჩემი საწევრო ფული“.

— რატომ? რისთვის? რა უფლებით? ისმის აქეთ-იქიდან კითხვები.

მღ. დეკანოზ. მე წევრი არა ვარ ამ საზოგადოებისა. (ხმა საზოგადოებიდან: მაშ ყველაზე ბევრს თქვენ რათა ლაპარაკობდით?)

დეკანოზ. სიტყვის ნებას მაძლევდენ და ვლაპარაკობდი.

თავჯდ. ნებას გაძლევდით იმიტომ, რომ წევრათა გთვლიდით.

დეკანოზ. არა მე წევრი არა ვარ.

მსხარაძე. მამაო დიმიტრი თუ წევრი არა ხართ მაშ გაგვაგებინეთ რასა თხოულობთ?!

მღ. დეკანოზ. რასა?... რასა ვთხოულობ?... ჩემსას... (ხმაურობა.—) თავჯდომარე უხსნის, რომ წერილობით განცხადება შემოიტანოს საწევრო ფულის გატანის შესახებ. მ. დეკანოზოვი თხოულობს ოქმში იქნას შეტანილი, რომ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს.

ამით დასრულდა 6 სექტემბერს მომხდარი ქვემო-მაჩხაანის დეპოს წევრთა საგანგებო კრება; ნაშუადღევის პირველ საათზე დაწყობილმა გაატანა საღამოს 5 საათამდის. საზოგადოთ კრების სჯა-ბაასმა მშვიდობიანათ ჩაიარა. წინანდელი კრებების ენებათა ღელვა მიმქრალიყო; პიროვნების შეხება, მკვახე-მკვახე, ქიზიყური, უწმაწური სიტყვების სროლა თითქმის აღარ ყოფილა. იქნება ეს იმის მიზეზითაც იყო, რომ 6 სეკტემბრის კრებას, წინანდელ კრებებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები ხალხი დაესწრო და თვით ოპოზიციაც თავის ბანაკში მჯოლოთ ორიოდე კაცს ღა ჰხედავდა. უმრავლესობა კმაყოფილი დარჩა კრების შედეგით და იმ იმედით ტოვებდა სხდომების დარბაზს, რომ ახალი გამგეობა მხნეთ, ენერგიულათ მოეკიდება საქმეს; წარმოება მალე გაძლიერდება, ვაჭრობა კვლავ გაჩაღდება ისე, როგორც იყო ეს დეპოს არსებობის პირველ წლებში და დეპო ისევ შეუმცდარათ დაადგება წარმატების და კეთილდღეობის გზას.... *)

—ო —ი.

წერილი კონსტანტინოპოლიდან.

Ყიდიხანია, რაც ოსმალეთის მდგომარეობა იპყრობს ევროპიის ყურადღებას. თითქმის ისე თვე

*) ჩვენ ძალიან გვაკვირვებს, რომ ფ. მსხარაძეს ამ არეულ-დარეული საქმის სათავეში ჩადგომა უკისრნია. ჩვენ არა ერთსულ გვითქვამს, და თვით მსხარაძესაც, რომ ჩვენებურ დეპოებს ჯერ ჯერობით შესაფერი ნიადაგი არ აქვთ და ძალა-უნებურათ ცუდათ ბოლოდებიან. ჩვენ მაინც გუსურვებთ, რასაკვირველია, წარმატებას მაჩხაანის დეპოს ისე, როგორც უველა სხვა ასეთ დაწესებულებას.

რედ.

არ გაიელის, რომ ოსმალეთის შესახებ თითო ორო-ლა საყურადღებო წერილი არ დაიბეჭდოს სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ყოველთვის ამ წერილებს ერთი და იგივე აზრი და მიმართულება აქვს. ხან თავიდან იწყებენ და ბოლომდის ლანძღვენ ოსმალეთსა და მისს დაუძლეველ სულთანს და ხან ბოლოდან. ხან ამბობენ ოსმალეთი სამარის კარს დგას, მას აღარა ეშველებარა და ხან კი უკვე მკვდარიო. და, ზოგჯერ-კი, ათასში ერთხელ, როგორ[illegible] ქუტული ვარსკვლავი, გამოცინცილდება ვინმე დ[illegible]ერს რასმეს, ცოტათ თუ ბევრათ ოსმალების სა[illegible]ენოთ. ერთი ამ უკანასკნელთაგანი ბრძანდება [illegible]ამბერი, რომელმაც ზედ-მიწევნით იცის ოსმალთა ზნე-ჩვეულება და ზოგიერთი ისტორიულ-ეკონომიური მდგომარეობა, მხოლოთ ისიც ზეზეურათ და არა ისე, როგორც ეს შეუძლია იცოდეს იმ პირმა, რომელიც ხალხში ცხოვრობს. ბ. ვამბერი, როგორც ცნობილი ინტელიგენტი და ფრიად განათლებული კაცი, ისე უცქერის ოსმალეთის სკოლებს, როგორც წესი და რიგი მოითხოვს და რასაკვირველია, ამ სკოლების პროგრამაც წეს-რიგიანი ჰგონია. მართლა-კი ეს ისე არ არის. ეს სკოლები, მარტო ოფიციალურათ იხსენებიან სხვა-და-სხვა გვარათ და ისე კი, მეტ შემთხვევაში, მარტო ყორანის გაზეპირებისა და ანბანის შესწავლის მეტს ვერას ითვისებენ მათი მოსწავლენი. არა თუ სხვა ქვეყნების გეოგრაფია და სხვა ისტორიული საგნები, პროვინციის სკოლებში ნასწავლმა ბავშვებმა თავისი საკუთარი ისტორია და გეოგრაფიაც არ იციან. თათრებს თუ აქვთ ერთი ორი რიგიანი სკოლა ეს მარტო კონსტანტინოპოლში: სახელმწიფო აკადემია (მექთები-ი-ხარბიე), სამკურნალო აკადემია და ერთი ორი კიდევ სხვა სახალხო (მექთები, მულქუ და მისთანაები).

როგორც უნდა იყოს დღეს ოსმალეთის მდგომარეობა ის მაინც ოსმალეთია და იქნება კიდეც, სანამ ევროპა ხელს აიღებდეს მაზე (ჩვენ ვამბობთ პოლიტიკურის მოსაზრებით). რაც შეეხება ოსმალეთის წინსვლას ეს დღეს, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ყოვლად მოუხერხებელია და თითქმის შეუძლებელიც, რადგან არც ერთის მხრით არც პოლიტიკურათ არც გონებრივათ და არც ეკონომიურათ განვითარების დრო მათ არ საიდან აღარ აქვთ. ყოველის მხრით, როგორც გარეთი ისე შინაგანი მტერი საშველს აღარ აძლევს. შვიდასი ათასი ჯარის კაცის რჩენა ხუმრობა არ არის და ამას დაუმატეთ წელიწადში ექვსი მილიონი ლირის გადახდა მარტო ევროპიის ფულისა, კიდევ რუსეთის ვალი და სხვა მრავალი საჭიროების დაფარვა.

დიახ, ოსმალეთი ასე შეეიწროებულია ყოველი მხრით, მხოლოთ მისი მოთავე პირნ[illegible] დაუღალავის სულთან—ჰამითურთ, ამ საშინელმა მდგომარეობამ ისე გამოცად-გამოჩალხეს, რომ კიდევ შეუძლიათ გაჭირვების დროს რამდენიმე ასი ათასი ჯარის კაცი დააყენონ ბრძოლის ველზე და, როგორც ეტყობა არჩინონ კიდეც. ამის უტყუარ საბუთათ ჩვენ შეგვიძლია ბევრი მაგალითები მოვიყვანოთ, როგორც რამდენისამე წლის შინაური ამბოხებაები: სომხებისა, ქურთებისა, ნეო-თურქებისა, არაბებისა, დრუზებისა და სხვა მრავალი. ბერძნის ომის დროს ვის ეგონა თუ ოსმალეთი ორასი ათას კაცს მთელ წელიწადს არჩენდა?!. ყველა ესენი მოახერხეს თათრებმა და მოახერხებენ კიდევაც.

ამ რამდენისამე დღის წინეთ აქეთ-იქიდან გაიძახოდენ: ხაზინაში ფული აღარ დარჩა, ჯამაგირებს ვერ არიგებენ, ვალს ვეღარ აუდიანო და მერე კი აქაურმა გაზეთებმა გვაცნობეს, რომ თოფ-იარაღის შეკვეთა, თუმცა ბელგია სამოც მილიონ ფრანკათ დაგვთანხმდა, მაგრამ სამოცდა ხუთ მილიონათ გერმანიის ფაბრიკებს მიეცაო. ეს რაღას მოასწავებსო იტყვის მკითხველი, რას და იმას რომ ოსმალეთის მთავრობას, როგორც იტყვიან გული შიგნით ჰქონია.

სწორეთ, რომ ასე არის, მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ ეს გარემოება ოსმალეთისა რამდენათაც სასიხარულოა მათთვის იმდენათ სამწუხაროა, რომ შესმენა იყოს. ნუ თუ ცხადი არ არის, რომ თუ ყოველ დღე მამის ნაადერძევს ჭამს შვილი—ერთხელც არის გამოილევა და შემდეგ სრულიად უსახსროთ დარჩება. „დღეს მზა, ხვალ მზა, მაგრამ ზეგ კი გზაო“ იტყვიან ესენიც და ვაი თუ ეს გზა,—უვალი შეიქნეს შემდეგ.

როგორ შეიძლება, რომ ოსმალეთმა „სილაღი“ დაჰყაროსო, ამბებენ თათრები და მაშინ, როცა ყველა შეგნებული და ჰუმანისტები დიდის სიამოვნებით მიეგებენ იმპერატორის ნიკოლოზ მე-II განცხადებას ომის მოსპობისა და სილაღის დაყრის შესახებ, ესენი სულ სხვას გაიძახიან: „სილაღს თათარი ვერ დაჰყრისო“. „რუსეთისთვის ეს ადვილი საქმეა, როგორც უშველებელი საიმპერიოსთვის და ის ამით სარგებელსაც ნახავსო — ამბობენ ოსმალნი, მხოლოთ ევროპა კი ძრიელ იზარალებს, რადგან ვილას უნდ-გაუკეთოს შემდეგ თოფ-ზარბაზან-წამლები და საოა მარი გემებიო“.

ასე რაჭველი.

ᲙᲒᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მიხეილის ქუჩა № 32. (10—2)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელი.

Доз. ценз. Тифлисъ, 12 Сентября 1898 г. Тип. М. Д. Ротшильда—სტამბა. მ. დ. როტშილდისა Гол. пр. [illegible], № 41